№ 219 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი ტელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. ოთხშაბათი, სექტემბრის 29 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ოფიციალური განყოფილება.

## სახელმწიფო ოპერა.

ხეზონი 1920—1921 წ.

დასის შემადგენლობა: (ანბანზედ)

ქალები: სოპრანო:

ელუშკო მ. ი.
ბაიარსკაია ნ. ე.
ბურგეთ-ცეხანოვსკაია გ. გ.
ვალკონსკაია.
ვოლ-ლევიცკაია ა. ხ.
ვიშმირსკაია-ცაგარელი მ. ა.
მანდენოვა ხ. გ.
მაზოვეცკაია ნ. გ.
მახტი ფ. გ.
კალანდაძე თ. ხ.
რისი თ. ლ.
ოქროპირიძე.
ხპრიშესკაია დ. ტ.

მეცცო-სოპრანო.

ერმოლინსკაია ა. ა.
პანინა ნ. ი.
იანსი მ. ა.
შელუდკოვსკაია ნ. გ.
ცინკ. ფ. ხ.
ერგანდელი.
თვსიანიკოვა ლ. ა.
ნეიმანი ბ. მ.
ზასლავსკაია თ. ფ.

კაცები: ტენორები

ზალიპსკი ბ. ი.
კურბატოვი ა. ე.
მოჩანოვი ი. პ.
სარაჯიშვილი. პ.
ჭუმბურიძე ა.

ბარიტონები:

ბალაბანი ა. ა.
ვენაძე გ. ი.
დროზდო-პოლიაევი ფ. ნ.
ინაშვილი ა. ი.
თარხან-მოურავი მ. ი.

ბასები:

დემიანენკო ა. ა.
ისეცკი ლ. ნ.
იმერლიშვილი ე. ი.
ხაბინინი იუ. დ.
ნიროვი ნ. პ:
ეზროვი ნ. ხ.
ორლიუკი ს. ა.
ქურხული გ. ა.

ბალეტი 12 წყვილი, ბალეტმეისტერი ს. ფ. ვაკარეცის და პრიმა-ბალერინა ბაუერზაკსის მ. ე. ხელმძღვანელობით. რეჟისორები: ბულსკი ა. დ., ქლენტი ე. ლ. და გურესი ა. ა. გუნდის ხელმძღვანელი სვიმონიშვილი ლ. ია. დირიჟორები: სტოლერმანი ს. ა., ჩერეპნინი ნ. ნ. და მიზანდარი. კონცერტმეისტერები: საბინ-გუსე. დ., სოკოლოვა ლ. ვ., გოლდმანი ლ. ი., ფალიაშვილი ჟანნა. სუფლიორები: ნიკოლაევი ხ. ი. და სარაჯიშვილი ა. გ.

გუნდის 50 კაცი ✦ ორკესტრი 50 კაცი.

მუსიკალურ ნაწილის გამგე ფოცხვერაშვილი პ. გ. სამხატვრო ნაწილის გამგეები. ზალცმანი ა. ა. და სიმონოვი ვ. ა. ოპერის დირექტორი „ს. ი. ჭყლახიშვილი.

## სეზონი გაიხსნება

ხუთშაბათს, 30 სექტემბერს სრულიად ახალი მოწყობილობით, ახალი დეკორაციებით, ახალი ტანისამოსით და გაძლიერებული ხოროთი ორიგინალური ქართული ოპერა მუსიკა ზ. პ. ფალიაშვილისა. „აბესალომ და ეთერი“, დასდგამს ა. რ. წუწუნავა. დირიჟორობს ავტორი ზ. პ. ფალიაშვილი. პარასკევს, 1 ოქტომბერს „პიკის ქალი“. ოპერა 4 მოქ., მუსიკა ჩაიკოვსკისა. დირიჟორი სტოლერმანი. შაბათს, 2 ოქტომბერს „რიგოლეტო“, ოპერა 4 მოქ., მუსიკა ვერდისა დირიჟორი სტოლერმანი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 11 საათ. დღის 3 საათ. და საღამოს 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზედ.

სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაცია.

909

## საქართველოს კოოპერატ. ბანკის მეორე გამოცემის აქციაზე ხელის მოწერა

თანახმად ბანკის დამფუძნებელ კრების (15 მარტი 1920 წ.) დადგენილებისა და ფინანსთა სამინისტროს სათანადო ნებართვისა საქართველოს კოოპერატიული ბანკი ადიდებს ძირითად თანხას 5.000.000 მანეთიდან—15.000.000 მანეთამდე; ამ ჟამათ გამოცემული იქნება 10.000 აქცია, თითო 1.000 მანეთის ნომინალური ღირებულებისა, შემდეგი პირობებით:

1) აქციაზე ხელის მოწერის უფლება აქვთ მხოლოდ კოოპერატიულ დაწესებულებებს (მომხმარებელ, საწარმოვო, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერატივებს და მათ კავშირებს)

2) გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 1.050 მანეთი თითო აქციაზე, რომელი თანხაც შეიძლება გადახდილი იქნას ნაწილ-ნაწილადაც: 30 % ნომინალურ ღირებულებისა - მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე; 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო დანარჩენი 40 % ამავე პირველ დეკემბრამდე,

3) აქციების გამოსაცემი ფასიდან 1.000 მანეთი ჩაირიცხება ძირითად თანხაში და ორმოცდა ათი მანეთიც საორგანიზაციო ხარჯების ფონდში,

4) აქციაზე ხელის მოწერა შეიძლება სარაიონო კოოპერატივთა კავშირებშიაც აქციათა ღირებულების დაწესებულ ვადებში წარდგენით,

5) ის დაწესებულებანი, რომლებიც არ შეასრულებენ მე-2-ე მუხლში აღნიშნულ პირობებს აქციათა ღირებულების განსაზღვრულ ვადაზე შემოტანის შესახებ, ჰკარგავენ უფლებას მეორე გამოცემის აქციათა შეძენისას.

საქართველოს კოოპერატიული ბანკი.

913 3—1

## სახელმწიფო ბიუჯეტი 1919-1920 წლისა.

სახელმწიფო შემოსავალი 1919—20 წლისათვის ხართვ-აღრიცხვად, პარაგრაფებად და მუხლებად დაყოფილი.

| ბიუჯეტის §§ | მუხ. | შემოსავლის სახელწოდება. | სამინისტროს ან რიცხვა. | ჯამი. |
|---|---|---|---|---|
| | | **პირდაპირი გადასახადი.** | | |
| | | **მიწისა და უძრავი ქონების გადასახადი.** | | |
| 1\|1 | 1\|1 | სახელმწიფო გადასახადი შემოსავლისა . . | ფინანსთა სამინისტ. | 12000000 |
| | 2\|3 | უძრავი ქონების გადასახადი . . . . . . . . | „ „ | 2000000 |
| | 3\|11 | სამხედრო გადასახადი . . . . . . . . . | „ „ | 20000 |
| | 4\|12 | მიწის ერთდროული გადასაგადი . . . . . | „ „ | 42000000 |
| | | | 1 §-ის ჯამი. | 56020000 |
| | | **სახელმწიფო სარეწავი გადასახადი.** | | |
| 2\|2 | 1\|1 | ძირითადი სარეწავი გადასახადი . . . . . | ფინანსთა სამინისტ. | 5000000 |
| | 2\|3 | დამატებითი სარეწავი გადასახადი საჯაროდ ანგარიშვალდებული წარმოებისა . . | „ „ | 1300000 |
| | 3\|4 | დამატებითი სარეწავი გადასახადი საჯაროდ ანგარიშ-არავალდებული წარმოებისა . | „ „ | 35000000 |
| | 4\|6 | ჯ ა რ ი მ ა . . . . . . . . . . . . . | „ „ | 30000 |
| | 5\|7 | დროებით გადასახადი მოგების ზრდისა . . | „ „ | 10300000 |
| | | | მე-2-ე §-ის ჯამი. | 51630000 |
| | | **გადასახადი ფულის თანხის შემოსავალზე.** | | |
| 3\|3 | 1\|2 | კერძო საზოგადოებათა მიერ გამოცემულ სარგებლიანი ქაღალდების შემოსავლის გადასახადი . . . . . . . . . | ფინანსთა სამინისტ. | 500000 |
| | 2\|3 | რკინის გზის აქციზების შემოსავლის გადასახადი . . . . . . . . . . | „ „ | 29700 |
| | 3\|4 | საკრედიტო დაწესებულებაში მიმდინარე ანგარიშზე შეტანილ თანხების და სხვა სარგებლიანი თანხების შემოსავლის გადასახადი . . . . . . . . . . | „ „ | 500000 |
| | 4\|5 | საგანგებო მიმდინარე ანგარიშების გადასახადი . . . . . . . . . . . | „ „ | 120000 |
| | 5\|6 | კერძო პირების დაწესებულებათა მიერ სავაჭრო-სამრეწველო წარმოებისათვის ნასესხები თანხების შემოსავლის გადასახადი . . . . . . . . . . . | „ „ | 30000 |
| | 6\|7 | სესხად გაცემულისა და უძრავი ქონებით უზრუნველ-ყოფილი თანხების გადასახადი . . . . . . . . . . . . . | „ „ | 100000 |
| | | | მე-3-ე §-ის ჯამი. | 1279700 |
| | | **არაპირდაპირი გადასახადი.** | | |
| | | **სასმელების გადასახადი.** | | |
| 4\|4 | 1\|1 | სასმელების გადასახადი . . . . . . . . | ფინანსთა სამინისტ. | 70000000 |
| | 2\|2 | პატენტის გადასახადი . . . . . . . . | „ „ | 2000000 |
| | 2\|3 | ჯარიმა სასმელთა გადასახადისათვის დადგენილების დარღვევისა გამო . . . . . | „ „ | 100000 |
| | | | მე-4-ე §-ის ჯამი. | 72100000 |
| | | **თამბაქოს შემოსავალი.** | | |
| 5\|5 | 1\|1 | თამბაქოს აქციზი . . . . . . . . . . | ფინანსთა სამინისტ. | 60000000 |
| | 2\|2 | პატენტის გადასახადი . . . . . . . . | „ „ | 600000 |
| | 3\|3 | ჯარიმა თამბაქოს გადასახადისთვის დადგენილების დარღვევისა გამო . . . . . | „ „ | 300000 |
| | | | მე-5-ე §-ის ჯამი. | 60900000 |
| | | **პაპიროსის გილზისა და პაპიროსის დაჭრილი ქაღალდის შემოსავალი.** | | |
| 6\|6 | 1\|1 | პაპიროსის გილზისა და პაპიროსის დაჭრილი ქაღალდის აქციზი . . . . . . . . | ფინანსთა სამინისტ. | 2000000 |
| | 2\|2 | პატენტის გადასახადი . . . . . . . . . | „ „ | 1000 |
| | | | მე-6-ე §-ის ჯამი: | 2001000 |
| | | **შაქრის და ჩაის შემოსავალი.** | | |
| 7\|7 | 1\|1 | ჩაის აქციზი . . . . . . . . . . . . . | ფინანსთა სამინისტ. | 300000 |
| | | | მე-7-ე §-ის ჯამი. | 300000 |
| 8\|8 | 1\|1 | ნავთის ნაწარმოები . . . . . . . . . | ფინანსთა სამინისტ. | 3000000 |
| | | | მე-8-ე §-ის ჯამი. | 3000000 |
| 9\|9 | 1\|1 | წუმწუმის შემოსავალი . . . . . . . . | ფინანსთა სამინისტ. | 1000000 |
| | | | მე-9-ე §-ის ჯამი. | 1000000 |
| | | **ხაზინის შემოსავალი.** | | |
| 10\|10 | 1\|1 | შემოტანილი საქონლის ბაჟი . . . . . . | ფინანსთა სამინისტ. | 30000000 |
| | 2\|5 | ჩამორთმეული საქონლისა და ცხენების გაყიდვით აღებული ფულისა და აგრეთვე საქონლის ფარულად გამზიდავთაგან აღებული ჯარიმის ხაზინაში გადამავალი ნაწილი . . . . . . . | „ „ | 1500000 |
| | | | მე-10-ე §-ის ჯამი. | 31500000 |

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სრულუფლებიანი
## მასწავლებელთა ამხანაგობის ტფილისის I-ლი რეალური სასწავლებელი მოზრდილთათვის

დაარსებული პ. ს. პამპალოვის მიერ

გადავიდა ახალ შენობაში: მე-6-ე ვაჟთა გიმნაზიის შენობა (ყოფილი ქალთა ინსტიტუტი), ერმოლოვის ქუჩა 6 გრძელდება თხოვნების მიღება. მიიღებიან როგორც ვაჟები ისე ქალები.

**კანცელარია ღიაა საღამოს 5-7 საათამდე.**

ამხანაგობის თავმჯდომარე ვ. ი. ბერი, დირექტორის თანამდ. აღმასრულებელი ა. თ. ლეტცი.

2219 1—1

# მეორე სახელმწიფო თეატრში

(ყოფილი არტისტიული, რუსთაველის პროსპ. № 21)

## დანიშნულია ხელახალი საჯარო შეჯიბრება

რადგანაც შეჯიბრება არ შესდგა.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ წინასწარ 70.000 მანეთი ბეღ. პირობების გაცნობა თეატრის კანტორაში ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე.

914 2—1

# ტფილისის ქალაქის გამგეობა
## იწვევს ექიმებს

საავადმყოფოსათვის ერთ უფროს ორდინატორს, ტერაპევტიულ განყოფილებისას, ორ უმცროს ორდინატორს იმავე განყოფილებისა, ერთ უმცროს ორდინატორ-ქირურგს და ერთს რენტგენოლოგს. სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულოა. თხოვნები და curiculum vitae მიიღება ქალაქის მედიკო-სანიტარულ განყოფილებაში 25 ოქტომბრამდე.

912 1—1

# საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭო.

აცხადებს

**კონკურს მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე.**

კონკურსში მონაწილენი ოქტომბრის 20-დის სამეცნიერო საბჭოსადმი მიმართულ თხოვნასთან ერთად, აცნობებენ მუზეუმის ადმინისტრაციას: (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 10).

ა) Curriculum vitae-ს.

და ბ) საბიბლიოთეკო მოღვაწეობის სტაჟს.

კონკურსში მონაწილეთ უნდა იცოდენ რამდენიმე უცხო ენა.

სასურველია უმაღლესი განათლება და აგრეთვე ქართული ენის ცოდნა.

თხოვნების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2 საათამდის მუზეუმის კანცელარიაში.

2896. 3—2.



**არა ოფიციალური განყოფილება.**

# ევროპის სოციალისტური დელეგაცია პროვინციაში.

## იმერეთში

ბრიუსელიდან დელეგაცია ღამის მატარებლით გაემგზავრა იმერეთისკენ. ბაკურიანის გზის შთაბეჭდილება მეტად ძლიერია. განსაკუთრებით ადგილობრივ გლეხების მოულოდნელმა საგანგებო შეხვედრამ დელეგატებზე დიდი გავლენა იქონია. დაბრუნებისას გლეხებმა აანთეს კვარის კელაპტრები და გზა გაჩაღებულ კოცონს წარმოადგენდა. ამ შთაბეჭდილებით განცვიფრებული ინგლისელი მუშა შოუ ამბობს: „ჩვენში სოციალისტებზე უთითებენ ხელის საჩვენებლად, აქ კი მთელი ხალხი ჩირაღდნებით გვხვდება“, ასეთი ქვეყანა მე პირველად ვნახეო. „ამ სანახაობით დამთვრალი სტუმრები ისვენებენ, რომ ხვალ ნახონ მუშათა მაღაროები, გლეხთა სურათებიდან გადავიდნენ ნამდვილ პროლეტარების, მუშათა კლასის სამეფოში. ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ საგანგებო მატარებელი ხარაგოულის ორგანიზაციამ შეაჩერა და სალამი უძღვნა ევროპიელ სტუმრებს. სრულ 8 საათზე მატარებელი შორაპანში იყო, სადაც ყვირილის და შორაპნის მიდამოებიდან დიდძალი ხალხი შეგროვილიყო. სადგურთან აემართათ ტრიბუნა, ხოლო ირგვლივ სადგური მორთული იყო ყვავილებით, ორთქლმავლები მოძრავ ტოტებს წარმოადგენს, ხოლო ვაგონები წითელი დროშებით არის შეფერილი. დელეგაციას აქ დახვდა ტფილისიდან საგანგებო ჩამოსულნი დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალ. ლომთათიძე და შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. სტუმრები დასხდნენ საგანგებოთ გამზადებულ ესტრადაზე, მათ აცნობენ ხალხს, ხოლო შემდეგ მიტინგის თავმჯდომარე ვ. ბუაჩიძე სიტყვას აძლევს შორაპნის მაზრის სოციალისტური პარტიების, გვარდიის შტაბის, დემოკრატიულ და ერობის ორგანიზაციების და პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენელს ს. მენთარიშვილს, რომელმაც თავისი სიტყვა ასე დაათავა: „ძვირფასო სტუმრებო, როდესაც დაბრუნდებით ინგლისში, საფრანგეთში და ბელგიაში, გადაეცით ჩვენ უფროს ძმებს, ევროპის მუშათა კლასს, რომ აზიის ყურეში არსებობს პატარა საქართველო, რომლის დემოკრატია მედგარ ბრძოლას აწარმოებს საკაცობრიო იდიალებისათვის, გადაეცით, რომ საქართველოს დემოკრატია მზადაა თქვენს დაძახილზე გადმოქცეს თვისი პატარა, მაგრამ სულით ძლიერი რაზმი თქვენ განკარგულებაში სოციალიზმის საკეთილდღეოთ“. საპასუხო სიტყვას ამბობს ბელგიის მუშათა წარმომადგენელი ამხ. ჰიუსმანსი. ის ამბობს: „ჩვენ მოვედით შორიდან, იმისათვის, რომ გავიგოთ ადგილობრივათ თქვენი ყოფა-ცხოვრება, პოლიტიკურ-ეკონომიური ალმშენებლობა, თუ რა გაქვთ თქვენ და რისი შექმნა შეგიძლიათ მომავალში. და ჩვენ გაკვირვებული ვართ თქვენი შრომით, განცვიფრებული ვართ, რომ მთელი ერი გაჟღენთილია სოციალიზმით და და ეს იმ ქვეყანაში, სადაც ინდუსტრიას არ აქვს ფეხი მოკიდებული და სასოფლო მეურნეობა შეადგენს უმთავრეს დარგს. ჩვენ დავიარეთ თქვენი ქვეყნის მშვენიერი ბუნება და სასიხარულოა, როცა თქვენ მიყვებით ჩვენ გზას, როცა უარყოფთ ტერორისა და უმცირესობის უმრავლესობაზე ბატონობის გზას. თუ ეკონომიურ მდგომარეობის მხრით საქართველომ უნდა ისწავლოს ჩვენგან, სამაგიეროდ პოლიტიკურ აღმშენებლობაში ჩვენ უნდა გადავიღოთ თქვენგან. ჩვენი ქვეყნები ორივე დემოკრატიულია. ჩვენ დავიწყეთ ეკონომიურ ცხოვრების გარდაქმნიდან, თქვენ კი შეუდექით პოლიტიკურ ცხოვრების განახლებიდან და ასე ორი სხვა და სხვა გზით მივდივართ ერთი მიზნისაკენ. ჩვენი ქვეყანა მოფენილია ქარხნებით, ჩვენ ვიმყოფებით ინდუსტრიის განვითარების ხანაში და თქვენი ხალხის ოდენა პოლიტიკური მომზადება რომ ქონდეს ჩვენ ხალხს, მაშინ სოციალიზმის განხორციელების დაწყება არც თუ ისე ძნელი საქმე იქნება“. ხანგრძლივი ტაში და ოვაციები ფარავს ჰიუსმანის სიტყვებს, რის შემდეგ ინტერნაციონალის ხმებში და საერთო აღტაცებაში დელეგაცია სხდება ჭიათურის შტოზე მათთვის საგანგებოდ დამზადებულ მატარებელში. ამ დროს დელეგაციას მუშები აჩვენებენ შავი ქვის ვაგონებიდან გადმოტვირთვას, რასაც იღებს ცეკავშირის კინემატოგრაფი. ორთქლმავალი მიაქანებს ჭიათურის მთებში გასერილ გზაზე სტუმრებს და ქართლის შემდეგ აქ იშლება ახალი სურათები, ახალი ბუნება, სრულიად განსხვავებული უკვე ნახულიდან. გზაში ყველა პატარა სადგური მორთულია ყვავილებით და წითელი დროშებით.

**ჭიათურაში.**

$10^1/_2$ საათზე საგანგებო მატარებელი ჭიათურის სადგურზე იყო. ისე, როგორც სხვა სადგურები, აქაც იგი მორთულია დროშებით და გირლიანდიებით. სადგური ინტერნაციონალურ ლოზუნგებით სავსე პლაკატებით არის აფერადებული. მომღერალთა გუნდი ასრულებს რევოლიუციონურ სიმღერებს და საერთო ოვაციებში დელეგაცია სადგურიდან მიდის ადგილობრივ სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის კომიტეტში, სადაც სტუმრებს მისასალმებელი სიტყვა უთხრა სერ. სიხარულიძემ. დელეგაციის სახელით კომიტეტს მიესალმა ემილ ვანდერველდე, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: მე 10 წლის განმავლობაში ვიყავი მაღაროს მუშათა დეპუტატი და დღეს, როცა აქ ვარ მაღაროს მუშებში, როცა ვათვალიერებ თქვენ ორგანიზაციას, მე თვალ წინ მიდგას ჩვენი მიზნების ერთიანობა, რომ ჩვენ ვემსახურებით ერთ იდეალებს და ეს სურათებიც, ყველა ქვეყნის სოციალისტურ მოღვაწეთა, რომ ამშვენებენ თქვენ ორგანიზაციას, ამტკიცებს ჩვენი მუშაობის სოლიდარობას.

ამის შემდეგ მთელი დელეგაცია მინისტრი რამიშვილის, ალ. ლომთათიძის, ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების და სხვათა თანხლებით წავიდა საგანგებოდ დამზადებულ ესტრადისკენ, სადაც თავი მოეყარა მაღაროს მუშებს და ადგილობრივ მცხოვრებლებს. მიტინგს ხსნის ამხ. ზ. გურული, რომელიც მოკლე მისასალმებელ სიტყვას ამბობს. დელეგატებიდან პირველად ლაპარაკობს ინგლისის წარმომადგენელი, თემთა პალატის დეპუტატი მუშა ამხ. შოუ. ის ამბობს: თქვენ ხართ ჩვენთვის არა მარტო ერი, არამედ ახალი გამოცდილება, რომელსაც შეყურებს მთელი ევროპის მუშათა კლასი. თქვენს გვერდით არის მეორე გამოცდილება, მეორე მაგალითი. მე მოვიარე რუსეთი და ვეცდები შევადარო ორი სისტემა ერთმანეთს. მე ვიტყვი რუსეთის კარგ თვისებებზეც და ცუდზეც. კარგია ის, რომ ზრუნავს მოხუცებზე და ახალგაზრდობის აღზრდაზე, მარა ამით თავდება საბჭოთა რუსეთის დადებითი მხარეები. მე ღრმად მწამს, რომ უდემოკრატიზმოთ შეუძლებელია სოციალიზმი, ხოლო დემოკრატიზმი გულისხმობს სრულ თავისუფლებას. პეტროგრადის და მოსკოვის მუშები შიმშილობენ, ორივე ქალაქი კვდება. მუშა ღებულობს ერთ მეოთხედს იმისას, რაც მის საზრდოთ საჭიროა, თქვენ არ შეგიძლიათ გამოსთქვათ აზრი თუ კომუნისტი არა ხართ, თუ კომუნისტებს არ უჭერთ მხარს, თუ მათგან არ ღებულობ ნებართვას. და აი, ამავე დროს საქართველოში რას ვხედავთ. პირობები შედარებით ერთნაირი იყო რუსეთში და საქართველოში; აქ ჩვენ ვნახეთ თავისუფალი ადამიანი, აქ ჩვენ ვნახეთ კრების, ბეჭდვის, და სინიდისის თავისუფლება. თქვენი ქვეყანა არის ბუნებით მდიდარი და ხალხი ორგანიზაციაში გამობრძმენდილი. ეს ბადებს იმედებს, რომ ახლო მომავალში თქვენ ეკონომიურათ წინ წახვალთ. და როცა მივალთ ინგლისში, უნდა დავსვათ იქ კითხვა მუშათა წინაშე, რომელ გზას გავყვეთ, რუსეთის ტირანიას, ძალდატანებას, თუ თავისუფალ საქართველოს. მე კი ვიტყვი—ჩვენ უნდა გავყვეთ საქართველოს გზას. ინგლისში $6^1/_2$ მილიონი მუშაა შეკავშირებული, ჩვენში, მართალია ასე სწრაფად არ შედის თავისუფლების იდეები, მაგრამ რაკი ერთხელ ჩაებეჭდება ინგლისელს თავში ეს აზრი, ის შემდეგ დაიცავს მას და ვფიქრობ, რომ 10 წლის განმავლობაში ინგლისშიც მუშათა მთავრობას ექნება ადგილი, ამავე დროს დემოკრატიის გზას გაჰყვება სხვა ქვეყნებიც. მოვა სოციალიზმი და მისცემს კაცობრიობას იმას, რაც არ მიუცია არც ერთ დროს და არც ერთ-ერთ კლასს, მუშათა კლასი გაიმარჯვებს. გაიმარჯვებს ინტერნაციონალი“. შოუს შემდეგ ლაპარაკობს ფრანგი რენოდელი, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: „1914 წელს, როცა ჰაერში თოფის წამლის სუნი იდგა, როცა ომი უნდა დაწყებულიყო, ინტერნაციონალი შეეცადა ხელი შეეშალა გაბატონებულ კლასებისათვის სისხლის ღვრის მოწყობაში. 9 აგვისტოს დანიშნული იყო ვენაში კონგრესი, სადაც დასმული იყო ეს საკითხი. მარა იმპერიალისტებმა შესძლეს ომის დაწყება, 2 აგვისტოს უკვე საომარი მოქმედება გაჩაღდა. სხვა და სხვა ქვეყნებში მუშები მოუმზადებელნი გამოდგნენ ომის შესაჩერებლად. მარა ამ ხუთი წლის ომის მსვლელობამ გამოაღვიძა თვით ჩამორჩენილი ერების მუშებიც და ეხლა ყველა უფრთხის ომს. დამთავრდა დიდი ომი მარა მისი შესაძლებლობა ჯერ არ მოსპობილა. მაღაროს მუშები განსაკუთრებული ენერგიით იბრძვიან ომის წინააღმდეგ. ამას წინეთ ჟენევაში საერთაშორისო მაღაროს მუშათა კონგრესი იყო, სადაც სთქვეს: «ნახშირი შეადგენს ომის პურს და თუ კაპიტალისტებმა კიდევ გაბედეს ომის დაწყება, ჩვენ დავამშევთ ომს, არ მივცემთ ნახშირს». და თქვენც ამხანაგო მუშებო, ხელი-ხელ ჩაკიდებული წახვალთ ამ მთელი ქვეყნის მაღაროს მუშებთან ერთად.“ ტრიბუნაზე ადის ვანდეველდე, რომელსაც მქუხარე ტაშით ხვდება ხალხი. ის სხვათა შორის ამბობს: „აი ეს შავი ქვა, ეს მაღაროები არის შემაკავშირებელი ჩვენი. მე მინდა თქვენ იცოდეთ იმ ამხანაგობის შესახებ, რომელიც ამუშავებენ აქედან გაგზავნილ შავ ქვას. იქ ამ მასალას ამუშავებენ თქვენი ამხანაგები მუშა სოციალისტები. ისინი იბრძვიან 8 საათის სამუშაო დღისთვის, ისინი იბრძვიან შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ. თავის მოვალეობას ისინი ასრულებენ პატიოსნათ, შრომობენ, რომ შრომის საძირკველი ჩაუყარონ მომავალ წყობილებას. დღემდი ამ შავი ქვით მზადდებოდა ზარბაზნები და ყუმბარები, ჯავშნოსანი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი, რომლითაც კაპიტალისტები ანგრევდენ ქვეყანას, დღეიდან კი მუშათა კლასი არ დაუშვებს ომს და ამ თქვენი შრომის ნაყოფით ისარგებლებს მთელი დემოკრატია ხომალდების ასაშენებლად, რკინის გზების გასაყვანათ, ბინების ასაგებათ და საერთოდ ქვეყნის გასაბედნიერებლად“. ზ. გურული მადლობას უხდის სტუმრებს ხალხის სახელით და საერთო ოვაციებში სტუმრები მიდიან შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საავადმყოფოს შენობაში, სადაც ისინი მიიპატიჟეს სადილზე და სადაც მრეწველთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა გ. ჟურულმა, რომელსაც უპასუხა ამხ. დე-ბრუკემ. გ. ჟურულის სიტყვას და ამხ. ბრუკეს პასუხს ცალკე მოვათავსებთ. ნაშუადღევს 4 საათზე სტუმრები წავიდნენ პაპავას სარეცხი ქარხნის და მაღაროების დასათვალიერებლად, სადაც დაყვეს 7 საათამდე და გულდასმით დაათვალიერეს ქარხანა, ისე მაღაროები. საღამოს სტუმრები მიიპატიჟა ქალაქის გამგეობამ, რის შემდეგ 9 საათზე ღამით ისინი გაემგზავრენ შორაპნისკენ, საიდანაც 25 სექტემბერს დაათვალიერეს ტყიბული და შემდეგ ქუთაისი.

# უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

**სატყეო მასალა.**

რუსეთიდან, შვეციიდან და ფინლიანდიიდან სატყეო მასალის შემოტანის გაძნელებისა და გაძვირების გამო ასანთის ინგლისელმა 9.000 აკრი მიწა შეიძინეს ტყის მოსაშენებლად. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ინგლისის მრეწველები რუსეთის ხე-ტყის მიუღებლადაც იოლად გავლენ.

**ბრიუსელის კონფერენცია.**

ბრიუსელის კონფერენციაში, გარდა ევროპის დიდ სახელმწიფოებისა, მონაწილეობას იღებს ანტანტის მოწინააღმდეგე და ნეიტრალური სახელმწიფოებიც. საერთაშორისო ფინანსიურ კონფერენციას, რომელსაც იწვევს ერთა ლიგა, ექნება სათათბირო და არა გადამწყვეტი ხასიათი. კონფერენციაზე დაისმება საკითხი საერთა-შორისო სავაჭრო დამოკიდებულებისა და საქონლის გადაცვლა-გამოცვლის შესახებ. კონფერენციამ უნდა გამოარკვიოს კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოთა ფინანსიური მდგომარეობა და მისი პერსპექტივები. ამასთანავე იმსჯელებენ საერთაშორისო კრედიტის მობილიზაციის შესახებ. კონფერენცია შესდგება თვითეულ სახელმწიფოს 3 წარმომადგენელთაგან. ერთ წარმომადგენელს მთავრობა ნიშნავს, მეორეს ბანკები და მესამეს სავაჭრო-სამრეწველო ორგანოები.

**ქაღალდის კრიზისი.**

ევროპაში ქაღალდის კრიზისის გამო ფინლანდიის ქაღალდის ქარხნებში გაძლიერებული მუშაობა. მეფაბრიკეებმა შეუკვეთეს ქაღალდი უმთავრესად ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ამერიკიდან და არგენტინიდან. შეკვეთილი საქონლის დასამზადებლად ქარხნებმა 1½ წლიდან უნდა იმუშაონ.

**რკინის გზ. და ტრანსპორტის მუშათა კრება.**

სამთო რკინის გზისა და ტრანსპორტის მუშების გაერთიანებულმა კრებამ ლლოიდ ჯორჯის წინადადება სერიოზულ მსჯელობის ღირსად სცნო. დაადგინეს: ეს წინადადება რომელიც ეხება მრეწველობის მოწესრიგებას, გაუგზავნონ ორგანიზაციებს განსახილველად. მაღაროების მომუშავეთათვის ავანსის მიცემის საკითხი იმსჯელეს საგანგებო კონფერენციაზე. [illegible] ბოლოს შემთხვევაში მიიღებენ ... კრებამ [illegible] მიღებული.

(ბაბელი [illegible])

**რუსეთის ხაიდუმლო ხელშეკრულება ქემალისტებთან.**

„მორნინგ პოსტის“ გადმოცემით რუსეთს და ქემალისტებს შორის დადებულა ... ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით რუსეთი სცნობს ოსმალეთის დამოუკიდებლობას. ამავე ხელშეკრულების ძალით არაბეთი და სირია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცხადდებიან. ოსმალეთის სომხეთი უნდა მიიღონ ქურთისტანი, ლორისტანი და ბათუმის ოლქი. არაფთარი სახელმწიფოებრივი კონტროლი ოსმალეთზე არ უნდა სწარმოებდეს.

**ბოლშევიკების დელეგაცია.**

გაზეთ „ტან“-ის კორესპონდენტის ცნობით 3 სექტემბერს ბოლშევიკების ერთი დელეგაცია ჩასულა ტრაპიზონში. ბოლშევიკები დაუყოვნებლივ ქემალის ჯართან კონტაქტი შეიქმნეს. მათ ქემალისტებს ჩამოეტანათ ბოლშევიკური ლიტერატურა და [illegible]. ბოლშევიკებს აგენტები ტრაპიზონში და სოხუმის გემებზე [illegible].

# სომხეთში

**პუადებარის წერილი.**

ოსმალეთ-სომხეთის ზავის ხელის მოწერის გამო საფრანგეთის ყოფილმა სამხედრო ატაშემ სომხეთის რესპუბლიკაში პუადებარმა სომხეთის მთავრობას თავმჯდომარეს შემდეგი წერილი გამოუგზავნა:

„ფონტენბლო, 13 აგვისტო, 1920 წელი. ოქტომბრის ამბავებმა, მე უნდა თქვენთან შეურთ ... დღეს დებით სომხეთის ... ოსმალეთ-სომხეთის ზავის ხელმოწერისთვის მიმართ, რომელიც ... სახელმწიფოების მხრით და რომელიც დამტკიცდეს ... თავისუფლობის ... ეროვნული ... სომხეთის ... იდეის სახელმწიფოების შორის. რამდენი სომეხი თავგანწირვით იბრძოდა ამ იდეისთვის, რამდენი მეომარი დაეცა ბრძოლის ველზე თავის სამშობლოს თავისუფლებისათვის. გადაეცით ჩემ მაგივრად გულწრფელი სალამი სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას და მთავარ-სარდალს ნაზარბეკიანს. პატივისცემით თქვენი პუადებარი“.

**ბელგია და სომხეთი.**

სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ავ. აგარონიანმა გარეშე საქმეთა მინისტრს ა. ოგაჯანიანს შეატყობინა რომ ბელგიის მთავრობამ ჯერ ისევ ოსმალეთთან ზავის დადების წინ იცნო სომხეთის de ture დამოუკიდებლობა.

**ა. ხატისოვის წინადადება.**

კონსტანტინოპოლის სომხური გაზეთი „ჟაღოვურდ ძაინ“-ი ჰიტყობინება, რომ სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო რწმუნებულს ა. ხატისოვს ლონდონში ყოფნის დროს ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროსთვის განუცხადებია, რომ საჭიროა სომხეთისათვის კოალიციური მთავრობა, რომლის საშუალებით სომხეთის ხალხს ნება მიეცემა საერთოდ გამოსთქვას თავისი გულის ზრახვანი.

# საბჭოთა რუსეთში

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო).

**ოპერაციული ცნობა.**

30 ვერსის მანძილზე, სლონიმის სამხრეთ დასავლეთით და კობრინის ჩრდილოეთით აღმოსავლეთით ხასიათის ბრძოლები სწარმოებს.

პრიპიატის რაიონში მზვერავთა მოქმედებაა. როვნოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენ რამოდენიმე სოფელი ავიღეთ. პროსკუროვის რაიონში ქალ. პროსკუროვი დავსტოვეთ: სტარო-კონსტანტინოვკის რაიონში ბრძოლა სწარმოებს მოპირდაპირის ცხენოსან ჯართან.

**პრესის მიმოხილვა.**

ცხოველ პოლიტიკის საკითხები გადასწყვეტს ძალთა განწყობილებას. ჩვენ არ ვიცით რას ამბობენ ამ წუთში პანები, მაგრამ ჩვენ ვიცით, რასაც ისინი საქმით აკეთებენ. მათი პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი შეტევას განაგრძობენ და თუ გაზეთები ჩვენი ჯარების უკან დახევას აღნიშნავენ, აქედან ერთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: უნდა გავაძლიეროთ სამხედრო მრეწველობა და ტრანსპორტი, უნდა გავაძლიეროთ პროპაგანდა ფრონტზე და ზურგში. თუ ჩვენ დავეყრდნეთ სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმ. კომ. მიერ გამოცემულ მოწოდებას, შევასუსტებთ ჩვენ დამარცხებას. პირიქით, თუ მათ შეტევას მომზადებული შევხვდებით, მაშინ ჩვენ შევძლებთ მათ იმპერიალისტურ გატაცების შენელებას.

პოლონელები განაგრძობენ შემოტევას. ამ სიტყვებს ყოველი მუშა უნდა ჩაუფიქრდეს, უნდა ჩაუფიქრდეს ყოველი წითელ არმიელი, რომელსაც არ უნდა პოლონეთის იმპერიალიზმის უღელი. (დამახინჯებულია) მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია ჩვენ მოვიპოვოთ ზავი პოლონეთთან, რომელსაც არ სურს ზავი. ახლოვდება ის დრო, როდესაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მოხდება ამბოხება ჩვენი მძიმე პროლეტარიატისა. (დამახინჯებულია).

**პურის შეკრება.**

პურის შეკრება ვიატსკის გუბერნიაში კარგათ მიმდინარეობს. 27-სოფელმა მთავრობას ჩააბარა საჭირო პური, ხარკოვის გუბერნიაში მთელი სათესი სივრცით თითქმის 75% უკვე დაითესა. წითელ არმიელთა მიწების 95% დაითესა.

# შრომის სამინისტროში

შრომის სამინისტრომ ქალაქის სასურსათო განყოფილებას მიმართა შემდეგი განცხადებით: მიუხედავათ შრომის სამინისტროს რამოდენიმე მომართვისა, რომ იმ წისქვილში, სადაც მუშათა მაგიდის ხორბალი იფქვება, კერძო პირთა ხორბალი არ დაფქულიყო, ასეთ მოვლენებს მაინც აქვს ადგილი. კერძო პირთაგან მიღებულ ხორბლის გამო შეუძლებელი ხდება წისქვილებში კონტროლი, ვინაიდან ხორბალი ზოგჯერ უნებურათ აირევა. ამიტომ შრომის სამინისტრო განმეორებით გთხოვთ კერძო პირთა ხორბლის მიღების აკრძალვას დასახლებულ წისქვილებში.

**ტ ი ვ ე ბ ი.**

შრომის სამინისტრომ თხოვა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებასა და სამხედრო უმწყების ხე-ტყის ქარხნების მიილონ ზომები მდინარე ტკვარზე ჯებირების შესაკეთებლად, წინაალმდეგ შემთხვევაში აკრძალული იქნება წისქვილების რაიონში ტივებით ხეების გადატანა.

**„კინემატოგრაფი-მინიონი“.**

შრომის სამინისტრომ აცნობა არამიანცს, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა წინადადება ეძლევა მათ, რაც შეიძლება მოკლე ხანში, გაანთავისუფლოს შენობა, რომელიც ამ ჟამად მინიონს უკავია. არამიანცის შუამდგომლობა, რომ ჩამორთმეულ სახლიდან რუსთაველის ქ. № 17, დაეთმოთ კინემატოგრაფისათვის შენობა უარყოფილი იქნა, ვინაიდან ქალაქის საბჭოს ცნობით არამიანცს ტფილისში სხვაგანაც აქვს მამულები.

# ახალი ამბები

**ქ. კაუცკის ჩამოსვლა.** გუშინ დილის 9 ს. ბათომში ჩამოვიდა კარლ-კაუცკი თავისი მეუღლით.

**საქართველო და ადერბეიჯანი.** ადერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ მთავრობის წარმომადგენელმა მუსლიმ ისრაფილოვმა საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილე ქ. საბახტარიშვილი ინახულა და რწმუნების ბარათი ჩააბარა.

**დედა-ენა I ნაწილი გამოვიდა** და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, რუსთაველის პროსპ. № 9, სასტუმრო „ორიანტის“ ქვეშ.

**მეორე ნაწილი გამოვა ხამ დღეში.** ფასი თითოეული ნაწილის 90 მანეთ.

**მარტყოფ-იორის სატყეო.** ტყის საბჭოს სხდომაზე ტყეთა ინსპექტორმა ქურდიანმა გააკეთა მოხსენება მარტყოფ-იორის სატყეოს შესახებ, სადაც ამ ჟამად ტყის დამამზადებელი მუშაობა სწარმოებს. მოხსენების შემდეგ საბჭომ დაადგინა: ტყის დამამზადებელი პარტია მუშაობის ნაყოფიერებისათვის გაიყოს ორ ჯგუფად და აიკრძალოს ტყეებში საქონლის შეშვება. ტყის ცეცხლისაგან დასაცავად ტელეფონების გაყვანა არის განზრახული.

**მიწად მოქმედების სამინისტრო.** თანახმად სატყეო განყოფილების საბჭოს სხდომის (14 სექტემბრიდან № 39) დადგენილებისა შორაპნის სატყეო გაყოფილ იქმნა ორათ: შორაპნისა და ჭიათურის სატყეო, რომელი დადგენილებაც დამტკიცებულ იქმნა მიწად-მოქმედების მინისტრის მიერ 18 ამა სექტემბერს.

**სავალიუტო ოპერაცია.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ: კვირას გამოქვეყნებული ცნობა, იმ ბანკების შესახებ, რომლებსაც უფლება ეძლევათ სავალიუტო ოპერაციების წარმოებისა შემთხვევით იყო. სია იმ ბანკებისა, რომელთაც უფლება აქვთ სავალიუტო ოპერაციების წარმოებისა, ამ დღეებში გამოქვეყნდება.

**სახალხო სახლი.** დღეს, 29 ენკენისთვეს სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ყაჩაღები“, დრამა 5 მოქ. შილლერისა., დასაწყისი 8 საათზედ.

**მუშაობის დაწყება სახელმწიფო დაწესებულებებში.** მთავრობამ შეიწყნარა შრომის სამინისტროს შუამდგომლობა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში ოქტომბრის პირველიდან მუშაობა იწყებოდეს არა 8 საათზე, არამედ 9 საათზე.

**საოლქო სასამართლოს სესია.** საოლქო სასამართლოს წევრთა კრებამ დაადგინა პროვინციაში სასამართლოს სესიები გაემგზავროს შემდეგი წესით: 1. ოქტომბრის 11—16 საოლქო სასამართლოს სესია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სიღნაღს. 2. ოქტომბრის 11—15 ოლქის სასამართლოს სესია უნაფიცმსაჯულებოთ ახალქალაქს, საიდანაც სესია გადავა ახალციხეს და იმუშავებს ოქტომბრის 16—23. 3. ოქტომბრის 25—30 საოლქო სასამართლოს სესია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გაემგზავრება სურამს.

**ტყეების გამოკვლევა.** ტყის საბჭოს სხდომაზე მიწად-მოქმედების მინისტრს საბჭოს წევრმა ს. ნ. ტიმოფეევმა გააკეთა მოხსენება: „ჩვენი ტყეების გამოკვლევის საჭიროების და ტყის საცდელი საქმის მოწყობის შესახებ“, მოხსენების შემდეგ საბჭომ დაადგინა: მიენდოს უფროს რევიზორს, შეაგროვოს ამ საკითხის შესახებ მთელი არსებული მასალა და შეადგინოს ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება მიწად-მოქმედების მინისტრის სახელზე.

**საავარაკო საქმე.** თანახმად მიწადმოქმედებასთან დაარსებულ განსაკუთრებულ სააგრარო კომისიის ცნობებისა ლეჩხუმის ერობას ლაშხეთში სამი წყარო და საექიმო პუნქტი მოუწყვია. ცხომარის მჟავე წყლები დიდძალ ნახშირბადს შეიცავს. საავარაკო კომისიამ, გაეცნო რა სვანეთის მადნეულ წყლებს, გამოიკვლია აგრეთვე სამეგრელოში არსებული ორი დიდი მადნეული წყარო ცაიშისა, რომელიც ზუგდიდიდან სულ 10 ვერსის მანძილზე იმყოფება და ნაქალაქევისა, რომელიც ახალ სენაკიდან 17 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ამ წყლებთან მოწყობილია აბანოები.

**იუსტიციის სამინისტროში.** სექტ. 25-ს იუსტიციის მინისტრის რ. არსენიძის თავმჯდომარეობით შესდგა სხდომა კანონების გადამსინჯველ კომისიისა. კომისიამ მიიღო კანონპროექტი სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისა დაბადების, ქორწინებისა და სიკვდილის შესახებ. შემდეგ სხდომაზე განიხილავენ სამოქალაქო ქორწინებისა და ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის კანონპროექტს. ყველა ამ კანონპროექტს მთავრობის მოწონების შემდეგ იუსტ. მინისტრი დამფუძნებელ კრებაში შეიტანს.

**მთავრობის თავმჯდომარესთან.** სექტემბრის 27 მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო პოლონეთში საქართველოს წარმომადგენლად დანიშნული სიდამონ-ერისთავი, და მისის პირველი მრჩეველი ბაქრაძე.

**ფოთის რაიონის გაჯანსაღება.** წყლის სამმართველოში დაარსდა საგანგებო კომისია, რომელსაც ფოთის რაიონის გაჯანმრთელების, და პირველად ყოვლისა, გზების დაშრობის საკითხის შესწავლა დაევალა.

**მარგანეცის ექსპორტი.** აგვისტოში გატანილი მარგანეცი. თანახმად საზოგადოება „ჩემო“-ს ცნობებისა აგვისტოს განმავლობაში გაუტანიათ 1.400.000 ფუთი მარგანეცი. ამ რაოდენობიდან ინგლისში გაუტანიათ 90.000 ფუთი, იტალიაში 35.000 ფუთი და სხვა. ამ ჟამად ფოთში იტვირთება 3 გემი, რომელთა საერთო ტონაჟი 400.000 ტონს უდრის. გემები ინგლისის ნავთსადგურებისკენ წავა.

# მოქალაქეობის რეგისტრაცია.

კანონების გადამსინჯავმა კომისიამ მოქალაქეობის რეგისტრაციის შესახებ შემდეგი პროექტი შეიმუშავა: კანონ-პროექტით დაბადება, ქორწილი და სიკვდილი აღინიშნება მეტრიკულ წიგნში, რომლებსაც აწარმოებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. დაბადება, ქორწილი და სიკვდილი უნდა აუწყოს სათანადო დაწესებულებებს მშობლებმა, ნათესავებმა მახლობლებმა და თუ ასეთები მათ არა ჰყავთ ბინის, სახლის მეპატრონეებმა და დაწესებულების უფროსებმა. ქორწილის შესახებ განცხადება თვით ჯვარდაწერილებმა უნდა შეიტანონ. წიგნის ამის შესახებ ორ ეკზემპლიარში აწარმოებენ. მეორე ეკზემპლიარი გადაეცემა ნოტარიუსის არქივებს, რომელიც საოლქო სასამართლოებს ექვემდებარება. არქივებმა და სხვა ორგანოებმა დაინტერესებულ პირთ უნდა მისცენ დაწვრილებითი ამოწერილობა. ამასთანავე დაბადების, ქორწილის და სიკვდილის ყოველ შემთხვევაში შედგენილ იქმნება სტატისტიკური ბარათი და შემდეგ ეს ბარათი გადაეგზავნება სტატისტიკურ კომიტეტს. დაბადების, ქორწილის და სიკვდილის კანონიერი დამამტკიცებელი არის მეტრიკულ წიგნიდან ამოწერილობა. ყოველ სარწმუნოების სამღვდელოებას ეკრძალება მღვდელთ-მსახურების შესრულება იმ პირების მიმართ, რომელთა შესახებაც კანონიერი სარეგისტრაციო ცნობები არ იქნება წარმოდგენილი. ამ საქმეში დამნაშავენი, დაისჯებიან სასჯელთა დებულების 29 მუხლის ძალით. არსებული კანონები რომელიც ამ კანონს ეწინააღმდეგება უქმდება. ამ კანონის ძალაში შესვლის დროს განსაზღვრავს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მხოლოდ კანონი ძალაში უნდა შევიდეს დამფუძნებელ კრების მიერ მიღების შემდეგ არა უგვიანეს 6 თვისა.

# ტფილ. ქალაქის საბჭოში.

(27 სექტემბრის სხდომა).

27 სექტემბრის სხდომაზე გარჩეულ იყო შემდეგი საკითხები: ამორჩეულ, პასუხსაგებ და ადმინისტრატიულ თანამდებობის პირთათვის მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან ჯამაგირების მომატების შესახებ. ქალაქის გამგეობა იძულებულია პასუხსაგებ და ადმინისტრატიულ თანამდებობის აღმსრულებელთ მოუმატოს ჯამაგირები. ეს გარემოება გამოწვეულია მით, რომ კარგი მოხელეები თანამდებობაზე არა რჩებიან. უმეტესობა თავს ანებებს თანამდებობას, რადგან ჯამაგირებს მეტად ცოტაობენ. ამიტომ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ზოგიერთ პასუხსაგებ და ადმინისტრატიულ თანამდებობის აღმსრულებელთ მოუმატონ ჯამაგირები ტარიფს გარეშე.

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის თეატრში ადგილების ფასის მომატების შესახებ საბჭომ დაადგინა: ბილეთების ფასი მოუმატოს და დააწესოს შემდეგი ფასები: 5 მან. 50 მანეთამდე. შემდეგ საბჭომ მიიღო მოხსენება სარევიზიო კომისიაში 2 წევრის არჩევა, ნაცვლად გასულებისა. აირჩიეს სოციალ-ფედერალისტების ფრაქციიდან: ქრისტეფორე რაჭველიშვილი და ცხადიაშვილი, ქალაქის მოურავის ბ. ჩხიკვიშვილის განცხადება 20 ოქტომბრამდე ბათუმის ოლქში დარჩენის ვადის გაგრძელების შესახებ. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ალლომთათიძის განცხადება და ქართველ კათოლიკეთა მზრუნველობის საჩივარი ქალაქის გამგეობაზე, საბჭომ შემდეგი სხდომისთვის გადასდო.

# სასურსათო ცხოვრება.

სასურსათო განყოფილება იუწყება: ვინაიდან მუშებსა და მოსამსახურეებს არ აქვთ დრო დადგეს რიგში ნავთის ძისხლებათ, ამიტომ სასურსათო განყოფილებამ ნავთის მიწოდება მოაწყო. მუშებმა და მოსამსახურეება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურსათო განყოფილებაში უნდა წარადგინონ დამოწმებული სიები, რომლითაც ყოველ მოსამსახურეს 20 გირვანქა ნავთი მიეცემა, სიებში აღნიშნული უნდა იქნეს მისამართი, თუ სად უნდა მიიტანონ ნავთი. ფუთი ნავთი მიტანით 375 მანეთი ღირება. დაწესებულებებს ნავთს 10 ფუთზე ზევით არ მისცემენ. ფული ნავთის მიწოდების შემდეგ უნდა გადაიხადონ.

**ხორცის მიწოდება.**

სასურსათო განყოფილება შეუდგა ტფილისის მცხოვრებთათვის იაფ ფასიან ხორცის მიწოდებას. ამ მიზნისათვის სასურსათო განყოფილებამ უკვე შეისყიდა საქონელი. საქონლის პირველი პარტია გადაეცა მეხორცეთა ამხანაგობას, რომელთა მაღაზიებიდანაც ხორცი გაიყიდება მცხოვრებლებზე. ასეთი მაღაზიები არსებობს ეკონომიური საზოგადოებასთან: კახეთის მოედანზე, ბაზარის და ჩუღურეთის ქუჩებზე.

**პური.**

სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ მან მიიღო მთელი რიგი ზომებისა პურის ღირსების გასაუმჯობესებლად. მას იმედი აქვს, რომ პურის ღირსება მოკლე ხანში საგრძნობლად გაუმჯობესდება

**შეშა მუშათა მაგიდისათვის.**

შრომის სამინისტრომ სთხოვა გზათა უწყების დეპარტამენტს მიაწოდოს 40 ვაგონი მუშათა მაგიდის საჭიროებისათვის ლანჩხუთსა და ჯუმათს შუა მდებარე სადგურებიდან შეშის ჩამოსატანად.

# ერობა

**ზუგდიდის მაზრის ერობაში.** მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო: ზუგდიდის მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობის მეორე სესია გამომხატველი მაზრის სოციალისტური დემოკრატიის ნების ყოფისა რომელიც გაიხსნა 26 სექტემბერს გთხოვთ გადასცეთ ძვირფას სტუმრებს, ევროპის მუშათა კლასის ბელადებს ჩვენი სალამი. ღრმათა გვწამს მათი ჩამოსვლა და ჩვენი ქვეყნის გაცნობა დაგვირგვინება მტკიცე და ურყეველი კავშირით ევროპის დემოკრატიასთან. გვჯერა მათი დაბრუნების თანავე ევროპის მუშათა კლასის დღიური წესრიგში დაისმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის იურიდიულათ ცნობის საკითხი. გადაეცით სტუმრებს რომ ჩვენთვის მმართველობა თავის საქმიანობით ქმნის მტკიცე გარანტიებს სოციალიზმის დამყარებისათვის. ყრილობის პრეზიდიუმი: მუჯირი, ვეკუა.

# სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საჯარო სხდომაზე 1920 წლის ოქტომბრის 1 განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

(სხდომის გახსნა დილის 11 საათზე).

1. საქმე თამარ ნაცვალოვის ალექსანდრე ერისთავთან აღმასრულებელი ფურცლის გაბათილების თაობაზე.
2. საქმე გრიგოლ მენდელიევისა ივანე ანდრონიკაშვილთან სასამართლო ბოქალულის მოქმედების უკანონოდ აღიარების თაობაზე.
3. საქმე იაგორ სეინოვის ანდრია ხარაიძესთან წინასწარ ნასყიდობის წერილის გაუქმების თაობაზე.
4. საქმე ვალერიან (იგივე ვარლამ) კუპრაძისა მურზა ჯიქიასთან ბინის თაობაზე.

# ბიბლიოგრ. შენიშვნები

**საფუტკრის მოვლა. მეფუტკრის კალენდარი. თხზულება ედუარდ ბერტრანისა.**

(მთარგმნელ გამომცემელი ლ. ცაგარელი. გამოიცა სამხედრო კავშირის დახმარებით ფასი 30 მან.

განვიხილოთ თუ როგორი თარგმანია, გასაგებია ის თუ არა ქართველი მდაბიო (ან განსწავლულ) მკითხველისათვის. მე მეფუტკრეს მეძახიან, ქართული ენა-კილოკავი გვარიანათ ვიცი, მაგრამ სანამ თარგმანი დედანს არ შეუდარე მე მისი ვერაფერი გავიგე.

ჩვენი ქვეყანა ძლიერ პატარაა, მაგრამ ენის სხვა და სხვაობა, კილოკავებ—ტერმინების მრავალფეროვნება უხვად არის, მაგრამ მთელი ერის მოღვაწეები უნდა ცდილობდენ სამწერლო ენა იყოს ყველა კუთხისათვის მხოლოდ ერთი საერთო ლიტერატურული ქართული.

სახალხო წიგნების (მეტადრე სამეურნეო შინაარსის) ავტორებიც უნდა ცდილობენ სწერონ მიღებული, მოქალაქეობრივი უფლების ენით, რადგან ეს იქნება უმეტესობის—ამიერ-იმერის გასაგები ენა—ქართული. ბ. ნ. ცაგარელის ენა კი მე ვერ გავიგე რომელი კუთხის ენაა, ან მის მიერ მოყვანილი ახალი ტერმინები სადაურია, სად ხმარებული. ფუტკრის ცხოვრება გოგებაშვილს ბუნების კარშიაც აქვს აღწერილი—ის მამალ ფუტკარს ხმარობს, ცაგარელი კი სასას უწოდებს. ასეთ პროვინციალიზმს რომ გავყვეთ მამალ ფუტკარს ზოგი კარუზასაც არქმევს, ზოგი მეწყლეს, ზოგი ონავარს, ზოგი მუშულის და სხვა. მაგრამ ერთხელ მიღებული, როგორც სამოსწავლო წიგნებში ისე სამეურნეოში (იხ. ზაალიშვილის, დარეჯანაშვილის და სამეურნეო ჟურნალები) მიღებული მამალი ფუტკარი ასევე მიღებულია რუსული „ячейка" უჯრები, საკვერცხე. ცაგარელი კი ნაჩვრეტები-ო ამბობს. უნდა იცოდეს ფუტკრის მოყვარულმა ბ. ცაგარელმა, რომ ეს ნაჩვრეტები კი არა საგანგებოთ აგებულია ფუტკრების მიერ—ნაჩვრეტი კი სულ სხვა შემეცნება და სულ სხვა ტერმინიც გახლავს. Вощина ფიჭაა ყველგან და არა ახალ „გამომცხვარი"-ხვეზა. Цвѣтенъ—ქარტლიო ბრძანებს ცაგარელი—უმეტესობა ქართლში ამბობს მჭადაო, ისე ეძახიან კიდევ ჰეოს ყველას კი სჯობია ეს არი უკანასკნელი პროპოლისი უცხო სიტყვაა, მართალია ფუტკრები მას წებოს მაგივრად ხმარობენ, მაგრამ ფუტკრის წებოს კი არ ეძახიან, არამედ დინდგილი-ო იტყვიან და კარგი ქართულიც არის. Личинка ჭია-თ უნდა ვიხმაროთ და არა მატლი უწოდოთ. აბრეშუმის ჭიაო იტყვიან და არა მატლიო. ესენი კი ორივე მწერებია და აღზრდის ერთნაირობასაც განიცდიან.

რომელი ერთი ამოვწეროთ, როცა შეუსაბამო ტერმინებით, (რომელთა სანაცვლო უკეთესებია უკვე მიღებული) წიგნის ყველა გვერდი სავსეა. თავი დავანებოთ ტერმინებს, იქნებ ამით ცაგარელს სურდა ჩვენი სიტყვიერება გაემდიდრებინა, ახლა ვნახოთ თუ როგორ არის წინადადება გადმოცემული—როგორი თარგმანია გაიგებს ვინმე მას და იხელმძღვანელებს თუ არა. მე-118 გადავშალოთ თუ გინდ გვერდი, სადაც სწერია.. ცენტრო ფუგები სხვა და სხვაგვარი კეთდება, ზოგიერთებში ყოველი ჩარჩო ცალკე ლითონის ყუთში იდგმება. ასეთია 1875 წ. კოვანისაგან წამოყენებული (?) ცენტროკუბი. იმავე მეფუტკრემ მოიტანა ავტომატიური ცენტროფუგი, რომელშიაც ცალკე კოლოფები ორია, და ორივე ღერძზე ტრიალებს. საკმარისია სახელური მეორე მხარე გადაატრიალოთ, რომ ეს ორი ჩარჩოიანი კოლოფები კასრის კედლებს მეორე გვერდით მიუტრიალდეს: კოლოფების მოტრიალება და გამაგრება ხონდიან (?) ღერძის საშუალებით ხდება, რომელიც სამს კოჭაკს შეაერთებს. ეს ხელსაწყო მოხრილ ზემოთა კადონშია (?) დამაგრებული, რომელშიაც კოლოფებია გამაგრებული. გამოგონება უბრალო და ჭკვა მახვილოვანია. ცენტროფუგით ფიჭებიდან თაფლის გამოცლისთვის ისინი ჯერ უნდა გაიხსნან, ე. ი. მათ ეჭრებათ ხუფები (?) დანით, რომელიც ნიჩაფს გავს" და სხვა.

(დასასრული იქნება)

**აპ. წულაძე.**

## განცხადებანი

დაიკარგა სოც. დახმარების წიგნაკი № 170 მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან ელენე ექვთიმეს ასულის ფრიდონოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს.
2791 3—3

იოანნე (ივანე) ლევანის ძე კაჭარავა აცხადებს, რომ მან დაკარგა ამიერ-კავკასიის სამოსწავლო სემინარიის კურსის დასრულებისა, მოწმობა, გაუქმებულად ჩაითვალოს.
2864 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფილისის ქალაქის გამგეობიდან ალექსანდრე სერგოს ძე ფონტინის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2837 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული სოფ. ზაგლიკის სოფლის მმართველობიდან მიკირტიჩ სარქისის ძე აგიანცის სახელსე, გაუქმებულად ჩაითვალოს.
2794 3—3

დაიკარგა კვიტანცია ცხენთა გადასახადის შეტანის მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 5 თებერვალს 1920 წ. ლაზარ შუმანოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.
2838 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ნიკოლოზ ივანეს ძე ნეფედევი-რომანოვსკიმ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ანნა ალექსანდრეს ასული, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1879 წელს, უკვალოდ დაიკარგა იმავ 1879 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ ანნა ალექსანდრეს ასულის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის, კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში.
2889 3—3

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 640, მიხეილ იოსების ძე მარციშევსკის სახელზე მიღებული ტფ. მეორე ვაჟთა გიმნაზიიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2884 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 9005, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოსაგან, ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების № 9608 და ტფილისის კოოპერატივის № 145 წევრობის წიგნაკები—ივანე რომანეს ძე შოლუხის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
2878 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა სიმონ ნიკოს ძე კალანდაძის სახელზე მიღებული მომარაგების სამინისტროს განყ. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2887 3—3

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 41 მიღებული რაჭის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან სიმონ ნესტორის ძის გვენცაძის სახელზე 1920 წ. 23 თებ. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2883 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან, და მეტრიკული ამონაწერი სერგო პავლეს ძე ნოზაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.
2874 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით № 915 მილიციონერი ვალიდი ლევანის ძე ბედოშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2881 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა № 191 მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან აკოფ არუთინის ძე ლუარსაბოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს.
2826 3—

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 188 და რევოლვერის ტარების მოწმობა № 539 მიღებული ქიათურის სახალხო გვარდიის შტაბიდან გვარდიელ პავლე ლუარსაბის ძე გამყრელიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
900 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის კანცელარიიდან, მოწმობა მიღებული 1857 წ. ადგილობრივ მცხოვრებლობის და ორი ავადმყოფობის მოწმობა მიღებული მიხეილის საავადმყოფოდან თეფილია სტანისლავის ასულის აპსოლონის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს.
ქ. უფ. 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული სპარსეთის მთავრობისგან 1919 წ. ალი-ლუთფულა-ოღლის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს.
2809 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსისგან და ტრამვაის უფასო ბილეთი ბადალ საქუას ძე თანდილიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2812 3—3

დაიკარგა ტფ. მილიციის სამმართველოდან მიღებული ტფ. ტრამვაიზე უფასოთ მიმოსვლის ბილეთი და მე-4 უბნის კომისარიატიდან მიღებული პირადობის მოწმობა გაბრიელ მიკირტიჩის ძე მადოიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.
2787 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ს. ზემო-ავჭალის კომისარისაგან თოფის „ბერდენკის" ნებართვა, პირადობის მოწმობა და ცხენის ყოლის ნებართვა (მოწმობა) მიღებული მწყემსთა კავშირიდან ზაქარია ბესარიონის ძე ბუტიკაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2844 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2485 სამსონ ისმაილის ძე სლანოვის სახელზე, მიღებული ქ. გორის კომისრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2873 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან 1918 წ. და პირადობის მოწმობა, მიღებული რკ. გზის მთავარ სახელოსნოდან გიორგი ანდრიას ძე ეგოროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2875 3—3

დაიკარგა პასპორტი ტაისია ნიკოლოზის ასული ჩერნიშევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2899 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ელენე დავითის ასული ამილახვარის სახელზე დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფ. ნოტარიუსისგან 1893 წ. რეესტრით № 70. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2894 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი ალექსანდრე სტეფანეს ძე ფურცხვანიძის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1910 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2892 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 51 ოლღა ვასილის ასული ბაზავოვას სახელზე, მიღებული პეტროგრადის მე-4 საპოლიციო უბნიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2890 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიხეილ ალექსანდრეს ძე მორთულაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2886 3—3

დაიკარგა პასპორტი იოსებ ჩუტკარიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან.. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2895 3—2

ქუთაისის საერთო განათლების საღამოს კურსების (ჩინჩლაძის) სახელზე გაიგზავნა პაკეტი 17 დეკემბერს 1919 წელს რომელშიდაც იყო სამი სიმწიფის მოწმობა ამავე კურსების აბიტურიენტთა: 1. თინა ყარამანის ასულის გაჩეჩილაძისა № 12495, 2. მელიტონ კიმოთეს ძე თევდორაძის № 12496 და 3. შალვა იოსების ძე ჭელიძის № 12497. ზემონაჩვენები საბუთები დანიშნულ ალაგას არ მოსულა, დაიკარგა, გაუქმებულად ჩაითვალოს
911 3—2

ქ. ტფილისის მე-3 უბნის მომრიგებელ მოსამართლემ თავის დადგენილებით 23 სექტემბერს 1920 წ. გააუქმა სრული მინდობილობის ქაღალდი გიორგი ზოტას ძე ევსინეევის მიერ მიცემული მისი მეუღლეზე ანნა ანდრიას ასული ევსინეევაზე მამულის მართვა, გამგეობის და საქმის წარმოების შესახებ შემოწმებული ქ. ტფილისის ნოტარიუსი მიტკევიჩის მიერ 1917 წ, იანვრის 25 დღესა რეესტრით № 1159.
2903 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სამურზაყანოს სამაზრო ერობის გამგეობიდან აკაკი ალექსის ძე ფიჩხაიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2902 3—1

დაიკარგა 1900 წ. დაბადებულთა გასაწვევ სიაში შეტანის მოწმობა № 20 მიხეილ ვასილის ძე კაზაკოვის სახელზე მიღებული 13 კომისარიატიდან გაუქმებულად ჩაითვალოს.
2908 3—1

დაიკარგა პასპორტი ივანე ალექსის ძე ბასიევის სახელზე, მიღებული ვარშავის ქართველთა კომიტეტიდან 1920 წ.
3904 3—1

დაიკარგა ატესტატი, მიღებული ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლიდან 1914 წ. № 222 გალაქტიონ კაპანაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2905 3—1

დაიკარგა ორი მოწმობა, მიღებული კავთის ხევის თემიდან. მოწმობა ორი თვის შვებულების და იარაღის ტარების, მიღებული ცხენოსანთა რაზმიდან და ფედერალისტთა პარტიის საწევრო ბარათი არჩილ ციციშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2906 3—1

დაიკარგა პასპორტი აგალი აბდულ ბაგი ოღლი კასუმოვის სახელზე, მიღებული კიზილ აჯილის სოფ. სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2907 3—1